საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str.,Tbilisi 0105, Georgia; ს/კ/I/N 204995176; ტელ/ფაქსი/Tel/fax: +995 332 983704; +995 3222 510101;

N 2246/05

2246-05-2-202205031533

03/05/2022

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო"-ს
მის: მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. ქ.N49ა
ტელეფონი: (+995 32) 2 98 11 11

გაცნობებთ რომ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემი"–ს (სსე) მიერ შესწავლილია თქვენი 30.04.2022 წლის N6/17769 (სსე-ში რეგისტრირებული N2023) წერილი, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლისში მდებარე 61 175 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N72.16.18.462) პრივატიზების საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

N72.16.18.462 მიწის ნაკვეთი მდებარეობს სსე–ს საკუთრებაში არსებული 220 კვ ქვესადგური (შემდგომში ქ/ს) ,,ლისი 220"-ის მომიჯნავედ. **საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ.N255 დადგენილების** მიხედვით 220 კვ ელექტროქვესადგური წარმოადგენს IV კლასის შენობა-ნაგებობას, რომელზეც ვრცელდება კანონმდებლობით დადგენილია დაცვის სპეციალური ზომები, რაც რეგულირდება **საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წ. N 366 დადგენილებით: „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ", კერძოდ: მე-3 მუხლის 1 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის მიხედვით**

1. ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონებად დგინდება:

გ) ქვესადგურებისა და გამანაწილებელი პუნქტებისათვის:

გ.ა) ყრუ კედლებიდან და შემოღობვებიდან პერიმეტრის გასწვრივ - 2 მეტრი;

გ.ბ) ღიობიანი კედლის შემთხვევაში პერიმეტრის გასწვრივ - 4 მეტრი;

გ.გ) მთავარი მისასვლელი გზის მონაკვეთი - სიგანით არანაკლებ 3 მეტრისა.

გარდა აღნიშნული შეზღუდვებისა განაშენიანების პროცესში გასათვალისწინებელი იქნება სანიტარულ-ჰიგიენური წესების და ნორმების მოთხოვნებიც.

აქვე ავღნიშნავთ, რომ ქვესადგური ლისი 220 წარმოადგენს საქართველოს ენერგოსისტემის მნიშვნელოვან ნაწილს, რომლითაც ხორციელდება ქალაქ თბილისის ნაწილის ელექტრომომარაგება.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს მიმდინარე ტერიტორიების განაშენიანება, რომლის ინფრასტრუქტურის ელექტრომომარაგებისათვის საჭირო გახდება აღნიშნული მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილის გამოყენებით ქ/ს ,,ლისი 220“-ის გაფართოება ≈ 10 000 $მ^2$-ით (იხ. დანართი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სსე წინააღმდეგია განხორციელდეს წარმოდგენილი N72.16.18.462 მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობით პრივატიზება.

დანართი: სიტუაციური გეგმა - 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

გიორგი გიგინეიშვილი

გენერალური დირექტორი